

## განმარტებითი ბარათი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის შესახებ

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი პროექტის მომზადება განაპირობა „თანამდებობის პირების ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებამ.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ამ კანონის შესაბამისობაში მოყვანა „თანამდებობის პირების ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„თანამდებობის პირების ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ინტერესთა შეუთავსებლობის, კორუფციისა და პასუხისმგებლობის სახის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანისა და როგორც მოსამართლეთა, ისე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ინტერესთა შეუთავსებლობასა და კორუფციასთან დაკავშირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით ცვლილებები შევიდა ორგანული კანონის 47-ე, 51-ე, 54-ე, მე-60 და 62-ე მუხლებში.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

#### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

#### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

#### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ ირღვევა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული რაიმე ვალდებულება.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**  
ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი